იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოეთის ხმა

საბჭოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 4 (164)

თებერვალი, 1967 წელი



თბილისის ვარსკვლავები



ორმოცდაექვსი მზიური წელი

ინტერვიუ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან

გ. დ. ჯავახიშვილთან

— როგორ შეფასებას აძლევთ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში?

— შეიძლება პასუხი ძალიან მოკლე იყოს: ეს იყო ქართველი ხალხის ნამდვილი აღორძინების ეპოქა, ხალხისა, რომელიც სამართლიანად ამაყობს თავისი უძველესი კულტურით და მრავალსაუკუნოვანი ისტორიით.

— თქვენი აზრით რა არის უფრო დამახასიათებელი საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის?

— საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენდა შავი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ჩარხსაშენებელი, ავტომშენებლობის, ქიმიური, ცემენტის, საფეიქრო, კვების და მრეწველობის სხვა დარგების ასობით შესანიშნავად მოწყობილი საწარმო. საქართველო უშვებს მძლავრ მაგისტრალურ ელმავლებს, უნიკალურ ჩარხებსა და მანქანებს, მსოფლიოში ერთადერთ ჩაის საკრეფ აგრეგატებს, რთულსა და ზუსტ ხელსაწყოებს.

— რა წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობის განვითარებაში?

— საკოლმეურნეო წყობილებამ საქართველოს გლეხობას საშუალება მისცა ბუნებრივი სიმდიდრეები ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა. ახლა საქართველო მაღალგანვითარებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის რესპუბლიკას წარმოადგენს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მეჩაიეობის — საქართველოს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგის — განვითარება.

მეევნახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქაც, ამ უძველეს დარგშიც, მოხდა საოცარი ცვლილებები. ახლა უძველესი მევენახეობის შთამომავლები ფართოდ იყენებენ თანამედროვე აგროტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში ირწყვებოდა სულ 90 ათასი ჰექტარი. ამასთან ტერიტორიის უმეტესი ნაწილი — პრიმიტიული წესით. ამჟამად საქართველოში ირწყვება 380 ათასი ჰექტარი მიწა.

— როგორ დაახასიათებდით თქვენ ქართველი ხალხის კულტურის განვითარებას ამ წლების მანძილზე?

— საბჭოთა ხელისუფლების წლებში სახალხო მეურნეობასთან ერთად სწრაფად ვითარდებოდა კულტურის ყველა დარგიც. საქართველოში უმაღლესი სასწავლებელი — უნივერსიტეტი 1918 წელს დაარსდა. ახლა ჩვენ გვაქვს 18 უმაღლესი სასწავლებელი, 87 ტექნიკუმი და მათთან გათანაბრებული სამუალო სპეციალური სასწავლებელი, 5 ათასამდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. უმაღლესი განათლების დონით საქართველოს ამჟამად პირველი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირში. ჩვენში მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 167 სტუდენტი მოდის. სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ საქართველოში ყოველ ათას კაცზე სამჯერ მეტი სტუდენტი მოდის, ვიდრე საფრანგეთში. 3,8-ჯერ მეტი, ვიდრე იტალიაში, 7-ჯერ მეტი, ვიდრე თურქეთში და 15-ჯერ მეტი, ვიდრე ირანში.

— თქვენი აზრით ყველაზე უფრო მეტად რა არის საინტერესო რესპუბლიკის უახლოესი მომავლის გეგმებში?

— ჩვენი უახლოესი მომავალი — ეს არის ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIII ყრილობის მიერ მიღებული დირექტივების პირნათლად შესრულება. ყრილობის დირექტივებში გათვალისწინებულია საქართველოში უპირატესად ელექტროენერგეტიკის, მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის განვითარება, აგრეთვე კვების და მსუბუქი მრეწველობის შემდგომი ზრდა. ხუთწლედის მანძილზე ჩვენ მოგვიწევს სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის გაზრდა დაახლოებით 1,6-ჯერ, ელექტროენერგიის გამომუშავებისა — 1,9-ჯერ, სატვირთო ავტომანქანების წარმოებისა — 2-ჯერ, მინერალური სასუქებისა — 2-2,2-ჯერ, აბრეშუმის ქსოვილებისა — 1,4-ჯერ და ა. შ. ხუთწლედის წლებში შეიქმნება მყარი ენერგეტიკული ბაზა რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მდინარე ენგურზე შენდება, გამოიმუშავებს 5 მილიარდ კილოვატსაათზე მეტ ენერგიას წელიწადში.

მსხვილი თანხებია ასიგნებული კურორტების განვითარებისათვის, რომლებითაც ესოდენ მდიდარია საქართველო. ახალი ჯანმრთელობის კერები და სასტუმროები აშენდება მსოფლიოში სახელგანთქმულ ჩვენს კურორტებზე.

— გვიამბეთ, თუ შეიძლება, სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შესახებ.

— საქართველოს ეკონომიური და კულტურული კავშირი საზღვარგარეთის სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველწლიურად ვითარდება და ძლიერდება. ეკონომიური კავშირი გამოიხატება სულ უფრო ფართო სავაჭრო ოპერაციებში. საქართველო თავის საზღვარგარეთელ მეგობრებს აწვდის ჩარხებს, მანქანებს, ხელსაწყოებს, მარგანეცს, ჩაის, ღვინოებს, კონიაკსა და სამრეწველო პროდუქციის სხვა სახეობებს.

თავის მხრივ, საქართველოში უწყვეტ ნაკადად მოედინება საჭირო და მოწყობილობები, რომლებიც რესპუბლიკის საწარმოებს ესაჭიროებათ. ჩვენთან სტუმრად ჩამოდიან მეცნიერები, არტისტები, მწერლები და კულტურის სხვა მოღვაწენი ყველა სოციალისტური ქვეყნიდან. და პირიქით, საქართველო თავის წარმომადგენლებს კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან აგზავნის მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში.

ინტერვიუ აიღო ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა

მ. ლორთქიფანიძემ.

საბჭოთა კავშირის მოსახლეობა

ჟურნალ „ვესტნიკ სტატისტიკის“ მეორე ნომერში გამოქვეყნდა უახლესი შედარებითი ცნობები საბჭოთა კავშირის მოსახლეობის შესახებ. შეფასებითი მონაცემებით, საბჭოთა ადამიანების რიცხვი **გასული წლის 1 ივლისისათვის შეადგენდა 233,2 მილიონს. აქედან 126,3 მილიონი ქალაქის მცხოვრებია (54 პროცენტი) და 106,9 მილიონი სოფლის მცხოვრები.**

1917 წლის 1 იანვრის შემდეგ საბჭოთა კავშირის მოსახლეობა 70,2 მილიონით გაიზარდა. ასეთი მატება მიღწეულია, მიუხედავად სამამულო ომის წლების უზარმაზარი მსხვერპლისა.

საბჭოთა მოქალაქეების სამ მეოთხედზე მეტი დიდი ოქტომბრის შემდეგ დაიბადა.

ყოველი ათასი კაციდან (ოჯახის არამომუშავე წევრთა ჩათვლით) 764 მუშა და მოსამსახურეა და 236 — კოლმეურნე გლეხი და კოოპერირებული შინამრეწველი. რევოლუციამდე ყოველ ათას კაცზე მოდიოდა 170 მუშა და მოსამსახურე, 667 ერთპიროვნული გლეხი და არაკოოპერირებული შინამრეწველი და 163 მემამულე, ვაჭარი და კულაკი.

1939 წელსაც კი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ათას კაცზე მოდიოდა მხოლოდ 6 დამთავრებული უმაღლესი განათლების მქონე და 77 დაუმთავრებელი უმაღლესი, საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე. 1966 წლის 1 იანვრისათვის ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენდა 26 და 320-ს. თუ ავიღებთ მხოლოდ მომუშავე საბჭოთა მოქალაქეებს, რომლებიც სახალხო მეურნეობაში არიან დასაქმებული, ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 47 და 495-ს.

დიდი ოქტომბრის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მომხდარ უდიდეს სოციალურ-ეკონომიურ ძვრებს ასახავენ აგრეთვე შედარებითი მონაცემები სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის განაწილების შესახებ ცალკეული დარგების მიხედვით (გარდა მოსწავლეებისა და სამხედრო მოსამსახურეებისა).

1913 წელს ყოველი ასი კაციდან მრეწველობაში და მშენებლობაზე დასაქმებული იყო 9, 1965 წელს კი 35 კაცი; შესაბამისად სოფლისა და სატყეო მეურნეობაში (პირადი დამხმარე სასოფლო მეურნეობის ჩათვლით) — 75 და 32; ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში — 2 და 8; ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებაში, დამზადებაში, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებაში — 9 და 6; განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვაში, მეცნიერებასა და სამეცნიერო მომსახურებაში, ხელოვნებაში — 1 და 14; სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მართვის აპარატში, საკრედიტო და სადაზღვევო დაწესებულებებში, საბინაო-კომუნალურ და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში — 4 და 5.

მოსახლეობის რაოდენობით საბჭოთა კავშირს მესამე ადგილი უკავია მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის.

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ რედაქციას

ერთი წელიწადი სამშობლოში

1.

ძვირფასო რედაქციავ!

18 თებერვალს შესრულდა ერთი წელი, რაც არგენტინიდან დავბრუნდი. ჩემს ცხოვრებაში არასოდეს არ გასულა ასე შეუმჩნევლად ერთი წელი. ამის მიზეზი კი სამშობლოში დაბრუნებით გამოწვეული სიხარული და ბედნიერებაა. მე უფრო ადრე დავბრუნდებოდი სამშობლოში, ქართველ მოცეკვავეთა დასი აღრე რომ ჩამოსულიყო საგასტროლოდ არგენტინაში...

1961 წელს არგენტინაში ფეხბურთის სათამაშოდ ჩამოვიდა საბჭოთა ფეხბურთელების ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში სამი ქართველიც იყო: ჩოხელი, მესხი და მეტრეველი. ჩოხელს არ უთამაშია, მაგრამ მესხმა და მეტრეველმა გადარიეს ფეხბურთის მოყვარულები. ბუენოს-აირესში 7 დიდი ფეხბურთის კლუბია. იქ ყველა კლუბი კაპიტალისტებს ეკუთვნით. ერთ-ერთი კლუბის პრეზიდენტმა არმანდომ, რომელსაც ძალიან ჰოსწონებოდა ქართველების თამაში, განაცხადა: „ბოკა ჟუნიარსი“ (კლუბის სახელია) პრემიის სახით 50 მილიონ პეზოს იძლევა მესხისა და მეტრეველის მოტაცებისათვის“. ამის გამო საბჭოთა საელჩომ გააძლიერა ამ ბიჭების დაცვა. მით უფრო, რომ მეტად მაცდუნებელი თანხა იყო დასახელებული, რომლის მოსაპოვებლად შეიძლება იარაღიც აღემართა ვინმეს, თუ მოტაცებისას წინააღმდეგობას წააწყდებოდა. შემდეგ იქაურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა, მესხმა და მეტრეველმა თავისი სურვილით მოითხოვეს პოლიტიკური თავშესაფარი. იმ დროს მხოლოდ ორი წუთით შევხვედრა ამ ბიჭებთან. აფსუს, რომ მეტი დრო არ მქონდა, თორემ ჩემი უცხოეთში წანწალი ხუთი წლით შემცირდებოდა.

1965 წელს მე და ჩემს ოჯახს მხსნელად მოგვევლინა არგენტინაში საგასტროლოდ ჩამოსული ქართული ცეკვის დასი. ბევრი დრო მქონდა დასის წევრებთან საუბრისათვის. სწორედ მათგან შევიტყე, რომ შემეძლო კვლავ დავბრუნებოდი საყვარელ სამშობლოს.

უცხოეთში ყოფნის პირველ ხანებში მეტად მიჭირდა იქაურ ჩვეულებებთან შეგუება. რამდენჯერმე თავის მოკვლაც განვიზრახე. განსაკუთრებით ეს აზრი პარიზში ყოფნისას მიტრიალებდა თავში. 1946 წელს პარიზში დავამთავრე მექანიკური, ჩვენებურად საქარხნო-საფაბრიკო სკოლა. არგენტინაში 1948 წელს ჩავედი. იქ მყოფ ქართველებს იშვიათად ვხვდებოდი და, მგონი, ამიტომ ნელნელა გულიც მიცივდებოდა. ხოლო თუ მთიან ადგილებში მოვხვდებოდი, ბუნება საქართველოს, მშობლიურ მხარეს გამახსენებდა ხოლმე და თვალები ცრემლით მევსებოდა.

ისე შევეჩვიე არგენტინას, განსაკუთრებით მარტოობას, რომ ახლა მიძნელდება კიდეც ქართულად ცხოვრება. მაგრამ ვიმედოვნებ მალე გავხდე ისეთი ქართველი, როგორიც ჩვენს ქართულ ოჯახსა და სუფრას სჭვეთია.

1959 წელს გზად ერთ ქალაქში მომიხდა გაცდა. ამ ქალაქს ლომას დე-სამორა ჰქვია. აქ ცხოვრობდა განსვენებული აკაკი პაპავა (პოეტი იყო) თავისი ორი სიძით. შევუარე. მომნატრა ქართულად ლაპარაკი. აკაკის ოჯახში ქართული წიგნი ავიღე წასაკითხად, მაგრამ ზოგი ასო ვეღარ წავიკითხე. ბატონ აკაკის არ მოეწონა ეს და მისი შვილების მიერ ქართულად გამოცემული ლექსების წიგნი მაჩუქა. ამის შემდეგ ხშირად ვკითხულობდი ამ წიგნს, რათა ქართული ასოები არ დამვიწყებოდა.

2.

სუხიშვილის მოცეკვავეებს არგენტინიდან პატარა წერილი და ჩემი მისამართი გამოვატანე. მალე თბილისიდან მივიღე პასუხი. ეს პასუხი რომ არა, დღესაც უცხოეთში ვიქნებოდი.

1966 წლის 18 თებერვალს, პირველად 25 წლის შემდეგ, ჩემი სამშობლოს მიწას დავადგი ფეხი. განა ეს ბედნიერება არ იყო! დიახ, ბედნიერი ახლა ვარ, რადგან მეოთხედი საუკუნე მივტიროდი ამ ბედნიერებას. საქართველო ვეღარ ვიცანი, ისე გამოცვლილა, განსაკუთრებით თბილისი.

მთელი ოჯახით სოფელში გავემგზავრე. გზიდართ ბორჯომისაკენ მიმავალ მატარებელში. ვიყურები ფანჯარაში და წამდაუწუმ თვალებს ცხვირსახოცით ვიმშრალებ. სიხარულის ცრემლი უფრო მწველი ყოფილა. გადის დღეები. მეგობრებს, ნათესავებს მივყვები ყველა მხარეს, რათა გავძღე სამშობლოს სილამაზით. ის მინდვრები, სადაც უბრალო ბალახიც კი არ ხარობდა, დღეს ბაღ-ვენახებით არის დაფარული; იქ, სადაც ჭაობის გამო კაცს ეშინოდა ფეხით გავლა, დღეს ჩაისა და მანდარინის პლანტაციებია გაშენებული; იქ, სადაც ღამის მეზავრს ეშინოდა, ურემი არ გადამიბრუნდესო, დღეს ასფალტიანი გზატკეცილები მიემართება და მანქანები დაჰქრიან; იმ კუთხეებში, სადაც ნავთის ჭრაქს ახრჩოლებდნენ, დღეს ელექტროდენია გაყვანილი და ოჯახებში ტელევიზორის ცქერით ტკბებიან. ძველათ ბევრი გლეხი მიწურში ცხოვრობდა. დღეს კი კოლმეურნეებს ორსართულიანი სახლები აქვთ წამოჭიმული. იქ, სადაც წყალს სახედრებით ეზიდებოდნენ, ახლა ონკანები ჩხრიალებს: ეს მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც ვნახე. ჯერ კიდევ ბევრი დამრჩა სანახავი.

გორი ხომ დღეს მართლაც ქალაქია. უცხოეთში მისი სურათი რომ მენახა, არ დავიჯერებდი, თუ ასე იცვალა სახე გორმა. მე ხომ გორელი ვარ და ჩემს თვალებს არ ვუჯერებდი ნახულს, ვიდრე ძველ ციხეს არ შევხედე. ის მინდვრები, რომლებიც ქართლ-კახეთში გამოუყენებელი იყო სიმშრალის გამო, დღეს არხებით არის დასერილი, ირწყვება და თვალუწვდენი ვენახებით არის დაფარული. ის სიკეთე, რაც დღეს სოფლის მშრომელს აქვს, კოლმეურნეობის კოლექტიური შრომის მადლია.

ამის დამნახავს განა არ მევალება მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას, რომელმაც ჩემს თხოვნას — დავბრუნებულიყავი სამშობლოში, დაადო რეზოლუცია: „დაკმაყოფილებულ იქნას“ და მომცა ჩემს მშობლიურ მიწაზე თავისუფალი შრომისა და ცხოვრების უფლება. წმინდა გრძნობით მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ბედნიერება დამიბრუნა და 25 წლის განშორების შემდეგ კვლავ საქართველოს მიწასთან დამაკავშირა. აგრეთვე მსურს მადლობა გადავუხადო სოფელ ახალქალაქის მცხოვრებლებს, რომლებმაც მიმიღეს თავიანთ თანასოფელად. მადლობელი ვარ ჩემი სოფლის კოლმეურნეობისა, რომელმაც გამომიყო ძვირფასი ნაკვეთი და დამილოცა ახალი ცხოვრება. განა შეიძლება ასეთი ბედნიერების მოხვეჭა უცხოეთში?!

ზოთა თარხნიშვილი.
თბილისი.

თებერვალი, 1967 წ.

ფინაპართა ნაკვალევზე

ჯერ კიდევ სკოლაში გაიტაცა კობა გურული სკულპტურამ. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი შედის თბილისის სამხატვრო აკადემიაში. აქ მისი სკულპტურა „აღფრთოვანებული გურული“ სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენაზე აღიარებული იქნა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი.

მალე კობა გაიტაცა ხელოვნების ისეთმა ძველმა და რთულმა დარგმა, როგორიც არის ჭედური ხელოვნება. მალე მან შექმნა პირველი ნაწარმოებები „მედეას მოტაცება“ და „ფიქრი“, რომლებშიც იგრძნობა ძველი ქართული ოსტატების მემკვიდრეობა, მაგრამ ამასთან ერთად ავტორი ეძებს თავის საკუთარ გზას ხელოვნებაში. მისი ბარიელეფების პირველმა გამოფენამ მნახველთა საერთო ყურადღება მიიპყრო.

ამჟამად ქართველი ხელოვანი ირაკლი ოჩიაურთან ერთად მუშაობს ახალი თბომავლის „შოთა რუსთაველის“ გაფორმებაზე.

კობა გურულის ნამუშევრები არის ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, ბულგარეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სურათებზე: ზემოდან ქვემოთ —კობა გურული მუშაობის დროს; ოჯახის წევრებთან; სამუშაო სკოლის მოსწავლეებთან.

ფოტო გ. კიკვაძისა.









ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲔᲚᲘ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝᲐ! ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ. ᲞᲠᲔᲡᲐᲨᲘ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ „ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲜᲒᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲒᲖᲐ, ᲓᲦᲔᲒᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 46 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲛᲐ **„ᲝᲒᲝᲜᲘᲝᲙᲛᲐ“** ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲔᲪᲕᲘᲓᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡ. ᲐᲮ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲗᲐᲕᲘᲐᲜᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲡᲢᲐᲢᲘᲐ, ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ, ᲕᲘᲕᲘᲐᲠᲝᲑᲗ, ᲡᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ. ᲔᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ, ᲐᲚᲑᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲕᲘᲗᲔᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲛ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲕᲒᲔᲓᲘᲗ „ᲝᲒᲝᲜᲘᲝᲙᲘᲡ“ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲡ.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲞᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘ

ᲔᲡ ᲘᲧᲝ გასული წლის დამლევს, თბილისის გვიანი შემოდგომის გამჭვირვალე მზიან დღეს. ვაგზლის პერონზე ადამიანები ტრიალებენ. შავ ფარაჯებზე განმასხვავებელი ნიშნები უბრწყინავთ — რკინიგზელები არიან. ისინი აქ ბევრია, ჯგუფ-ჯგუფად დადიან, რაღაცაზე გაცხოველებით საუბრობენ და შემოსასვლელი სემაფორისაკენ იყურებიან. ბოლოს ჩამოდგა სპეციალური შემადგენლობა. მგზავრებმა სწრაფად დაიკავეს თავიანთი ადგილები, და აი მატარებელი უკვე მიჰქრის კახეთის ხაზზე.

სადგურებში ვაგონებთან მიდიან რკინიგზელებიც და კახეთის სოფლების მცხოვრებლებიც. ისინი მგზავრებს მიართმევენ ყურძნის ლამაზად აკინძულ ჯაგრებს ან ყვავილების თაიგულებს, ზოგი მაჭრით უმასპინძლდება. გამარჯვების პლატფორმასთან, საკონტაქტო ქსელის 364-ე საყრდენის გავლისას, მგზავრებმა უცებ მქუხარე ტაში დაუკრეს. მაგრამ მატარებელმა კიდევ რამდენიმე კილომეტრი გაიარა და ამ შტოს ბოლო სადგურში, წითელწყაროში გაჩერდა. ვაგზლის მახლობლად ბაღში უკვე იდგა ათმეტრიანი ობელისკი, რომლის თავზე ლამაზად მოჩანდა მხოლოდ ერთი ციფრი — 25.000. რას ნიშნავდა იგი?

გახსოვთ, მკითხველო, როცა ჩვენს ქვეყანაში ელექტროწევაზე გადაჰყავდათ მოსკოვ-ბაიკალის რკინიგზის მაგისტრალი? ეს იყო 1961 წელს. ერთი წლის შემდეგ კი ელექტროწევაზე მთლიანად გადავიდა მაგისტრალი ლენინგრადი-ლენინაკანი, რომლის სიგრძეა 3.400 კილომეტრი. 1965 წელს — მოსკოვი-სვერდლოვსკი. უჩვეულოდ სწრაფი ტემპებია. ახლა მსოფლიოს ყველა ელექტროფიცირებული რკინიგზების ერთი მეოთხედი სსრ კავშირზე მოდის, ამ ციფრს რომ ჩაუფიქრდები — გიხარია! თანაც ისე მოხდა, რომ ჩვენი ტრანსპორტის ამ განუხრელი ტექნიკური შეიარაღების დიდი წილი საქართველოს მიწაწყალზე მოვიდა (რა თქმა უნდა, სრულიად შემთხვევით). 364-ე საყრდენთან, წითელწყაროს სადგურის მახლობლად, დაითვალეს ოცდამეხუთეათასე ელექტროფიცირებული კილომეტრი. ამა როგორ არ უნდა აღენიშნათ ასეთი სადღესასწაულო ამბავი? რა თქმა უნდა, აქ ყველა გზადან ჩამოვიდნენ — მეთაურები, ინჟინრები, მეცნიერები, ვისაც კი წილი ედო ელექტროფიკაციის საქმეში.

გასაგები იყო კახელების სიხარულიც, რომლებმაც სწრაფი ელმავალი მიიღეს.

მაგრამ ჩვენ, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკებს, გვახარებდა კიდევ ერთი საგულისხმო დამთხვევა: სსრ კავშირში პირველი საგარეუბნო ელექტროხაზიც — ბაქო-საბუნჩის ხაზი ჩვენში აშენდა. მე მაშინ თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი. და 1926 წელს ბაქოში წაგიყვანენ, რომ ეჩვენებინათ ახლად აგებული მოტორსავაგონო დეპო, წევის ქვესადგური, საკონტაქტო ქსელი.

მთავარი კი წინ იყო. რკინიგზაზე უკვე მუშაობდა სურამის ელექტროფიკაციის ბიურო. ჩვენ, სტუდენტები, ამ ბიუროში გავდიოდით ჩვენს საზაფხულო პრაქტიკას და, როცა დრო დადგა, ვაშენებდით უელექტრონელს. ამრიგად, ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება მონაწილეობა მიგვეღო სსრ კავშირის მაგისტრალურ გზებზე სულ პირველი ელექტროფიცირებული უბნის შექმნაში.

ახლა სურამის უღელტეხილს ყველა მეელმავლე და ელმავალმშენებელი იცნობს. და იმიტომ კი არა, რომ იგი ჩვენი პირმშოა, ჩვენი ისტორიაა. ეს მოკლე მთიანი უბანი დღემდე საუკეთესო ლაბორატორიაა ყველანაირი კვლევისა და გამოცდისათვის. მე კი იგი იმიტომაც მიყვარს, რომ აქ გაიარა ახალგაზრდობამ, აქ გამეფებული იყო ენთუზიაზმისა და ძმობის ის განსაკუთრებული სულისკვეთება, რომელიც პირველი ხუთწლედის დაუვიწყარ წლებს ახასიათებდა. კეთილი, მეგობრული დამოკიდებულება გამოიჩინეს მაშინ ჩვენი საქმისადმი ჩვენი ქვეყნის უდიდესმა საწარმოებმა: მოსკოვის ქარხანა „დინამომ“, ხარკოვის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ და სხვებმა. ყველა გზაზე მწვანე ქუჩა ეძლეოდა ტვირთებს, რომლებსაც ჰქონდათ წარწერა: „სურამის უღელტეხილისათვის“.

რომ იცოდეთ, რა ხდებოდა მაშინ მთებში! აქ გაჰყავდათ ზაჰეს-რიონჰესის ელექტროგადამცემი ხაზი. კლდეებში ვჭრიდით გზებს, რომ მიგვეზიდა ლითონის საყრდენები, ცემენტი, ხრეში, წყალი, სადენები. მანქანები არ იყო: ყველაფერ ამას ეზიდებოდნენ ურმებით, რომლებზეც ხარები ან ჯამეჩები ება. ხეობების თავზე მუშაითებივით „ჟონგლიორობდნენ“ ჩვენი ზემცოცავი ელექტრომონტიორები. სურამის გვირაბში გაისმოდა ჩაქუჩისა და თეგის კაკუნი, ხელით ხვრეტდნენ კლდეს საკონტაქტო ქსელის დასამაგრებლად. გვირაბში მხრჩოლავი ორთქლმავლების მძრაობაც ხომ არ წყდებოდა!

დრო შეუმჩნევლად გარბოდა. რაღაც ბურუსში მაგონდება 1932 წლის ივლისის დღეები. ბათუმის ნავსადგურში ზღვით ჩამოვიდა პირველი ორი ამერიკული სამაგისტრალო ელმავალი. ჩვენ ნავმისადგომზე ვდგავართ და ვღელავთ: მოერევიან თუ ვერა ამწეები „ოქროს“ მანქანებს (ეს მანქანები ხომ თითქმის წონა ოქროდ დაგვიჯდა)? ბოლოს, ისინი გადმოვტვირთეთ და უდიდესი სიფრთხილით ჩამოვიტანეთ ხაშურის ელდეპოში. 1932 წლის 16 აგვისტო ისტორიული დღეა: პირველი ელექტრომატარებელი, რომელიც მემანქანე მიხეილ აბესაძეს მიჰყავდა, გადავიდა უღელტეხილზე სადგურ ხაშურიდან სადგურ ზესტაფონამდე და უკანვე დაბრუნდა.

რამდენიმე თვის შემდეგ კი უღელტეხილზე უკვე გამოჩნდნენ პირველი სამმაღლი ელმავლები, რომლებიც მოსკოვის ქარხანა „დინამომ“ დაამზადა. მანქანა უღელტეხილზე აიყვანა ივანე ტყეშელაშვილმა. უკვე დიდი ხანია ყველასათვის ნათელია, თუ რა უპირატესობა აქვს ელექტრობას ორთქლის წინაშე. ელმავალი სამ ორთქლმავალს უდრის. იგი ზოგავს თხევად სათბობს, უფრო სწრაფად დადის და მეტი წონა მიაქვს. ახლა, მაგალითად, ამას იმაზე თითქმის ორჯერ უფრო მძიმე შემადგენლობანი მიჰყავს, ვიდრე ის შემადგენლობანი იყო, რომლებიც წინათ უღელტეხილზე ადიოდნენ.

ახლა ელმავლებს აკეთებენ აქვე, მათი პირველი სტარტის ახლოს. და ეს ბუნებრივიც არის: თბილისის ელმავალსარემონტო ქარხანამ მანქანების მწყობრში დაბრუნება რომ ისწავლა, გადაწყვიტა მათს წარმოებას შესდგომოდა და თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხანა გახდა. მართალია, „ვლ-8“ მარკა, რომელსაც ახლა იგი უშვებს, უკვე ჩამორჩება სადღეისო მოთხოვნებს. მაგრამ მისი ცვლა მომზადებულია. სურამის უღელტეხილზე გამოჩნდება თბილისელი კონსტრუქტორების მიერ შექმნილი ახალი მანქანა „ვლ-10“. მისი გამოცდა წარმოებს მთელ ჩვენს განთქმულ ფერდობებსა და მოსახვევებზე. და როცა ვხედავ, როგორ მიჰყავს იგი მემანქანე-ინსტრუქტორ მიხეილ ხიჯაკაძეს, სუფთა, ნათელ კაბინაში რომ ზის, მაგონდება, რომ ამავე დაღმართებზე ჯოჯოხეთურ პირობებში, კვამლსა და ღრჭიალში, ფერდობზე გადავარდა და დაიღუპა მამამისი მემანქანე ივანე ხიჯაკაძე.

ერთი სიტყვით, ბევრი მოგონება მოგვაწყდა ჩვენ, ოცდამეხუთეათასე კილომეტრის საიუბილეო საყრდენთან შეკრებილ ვეტერანებს. ვიდღესასწაულეთ და შინ დავბრუნდით. ხოლო რა არის ჩვენთვის „შინ“? რა თქმა უნდა, გზა.

და აი საქართველოს რკინიგზების ყველაზე ლამაზ, ყველაზე პოეტურ შტოზე — ბორჯომ-ბაკურიანის შტოზე ვარ. იანვარია. თოვლით დაბარდნილა ფიჭვნარები. გზა აღმართზე მიდის, სამთო-სათხილამურო სპორტის ყველა მოყვარულთათვის ნაცნობ ადგილებში. ვინც ბაკურიანში ყოფილა, იცის, როგორი საქმეა ვიწროლიანდაგიან გზაზე ეგრეთწოდებული „კუკუშკით“ მოგზაურობა: ქოთქოთებენ პატარა ორთქლმავლები, გაჭირვებით მიჰყავთ შემადგენლობა... დიდხანს ვერაფერი ვერ მოგვეხერხებინა ამ შტოსათვის: ადგილმდებარეობის პირობები ისეთია, რომ ფართო ლიანდაგზე გადაყვანა არ შეიძლება. მაგრამ გავიგეთ, რომ ჩეხოსლოვაკიაში უშვებენ პატარა ელმავლებს ასეთი გზებისათვის. ქართველმა ინჟინრებმა საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნეს ამ უბნის ელექტროფიკაციის პროექტი. დუბნიცაში შეუკვეთეს 12 ელმავალი. 12-დან პირველი უკვე გამოჩნდა ბორჯომის ხეობაში, მატარებელს ჩაუდგა და პანტოგრაფი ამართა... ბორჯომიდან ბაკურიანში ახლა ერთ საათსა და 20 წუთში ავდივართ ნაცვლად სამი საათისა, როგორც ეს ძველი „კუკუშკით“ იყო.

გაიხსნა კიდევ ერთი ელექტროფიცირებული შტო. რამდენიღა დარჩა? სულ ცოტა. ჩვენ ელექტროფიცირებულ ხაზებს ომის დროსაც კი ვაშენებდით. მაგალითად, თბილისიდან ახალ ქალაქ რუსთავამდე ელექტრომატარებელი ომის წლებში გავუშვით. ახლა ელექტროენერგიას მიჰყავს ტვირთებიანი შემადგენლობანი ბათუმის, ფოთისა და სოხუმის ნავსადგურებში — მიაქვთ ტყიბულის ქვანახშირი, ჭიათურის მარგანეცი, რუსთავის მილები.

ცოტა დრო კიდევ გავა, და დადგება დიდი მიჯნა მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავი. ქართველი ელექტროფიკატორები მას შეეგებებიან თავიანთი ყველაზე დიდი გამარჯვებით, რომელზეც მხოლოდ ოცნებობდნენ სურამის უღელტეხილზე: რესპუბლიკის მთელი რკინიგზის ტრანსპორტი ელექტროწევაზე გადავა!

ი. თოფჩიშვილი.

სტუდენტი — პოლიგლოტი

ენათა უზარმაზარ ბაგაჟს (ათამდე ენას, ქართულისა და რუსულის გარდა) ფლობენ თბილისელი მეცნიერები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ოთარ ონიაშვილი და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი თამაზ გამყრელიძე. მაგრამ აი უნივერსიტეტში გამოჩნდა სტუდენტი, რომელიც უკვე „ეწევა“ მათ. ეს არის მესამეკურსელი ისააკ დავითაშვილი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა სკოლის მოსწავლე იყო, მან შეისწავლა ინგლისური, გერმანული, ფრანგული. უნივერსიტეტში ორი წლის მანძილზე ამ ენებს მიემატა ესპანური, იტალიური, ჰოლანდიური, შვედური, სლოვაკური, პორტუგალიური. ახლა იგი თავისუფლად თარგმნის ლიტერატურას ირანულიდან, არაბულიდან, ძველბერძნულიდან, რუმინულიდან და სწავლობს სამ ახალ ენას: თურქულს, აზერბაიჯანულსა და სომხურს.

ი. გერმესაშვილი.

„სუბტროპიკული“ ლინოლეუმი

მიზნებულია თბილისში, საშენ მასალათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, ხოლო შემოწმებულია ლიეპაიაში, ლინოლეუმის ქარხანაში. თურმე ლინოლეუმის წარმოებისას შეიძლება არ გამოვიყენოთ ძვირად ღირებული კორპის ფქვილი, რომელიც შორეული ცხელი ქვეყნებიდან შემოგვაქვს. ხომ არც საქართველოა ჩრდილოეთში, მაგრამ რაკი აქ კორპის ხე არ არის, ალბათ შეიძლება მოინახოს შემცვლელები.

შემცვლელი გახდა იმ ფაბრიკების ნარჩენები, სადაც სუბტროპიკული ნაყოფის გადამუშავებას ეწევიან. ათასობით ტონა ასეთი ნარჩენები ახლა სრულიად უსარგებლოდ იკარგება. ეს ნარჩენები კი ცვლის არა მარტო კორპის ფქვილს, არამედ ლინოლეუმის წარმოებისათვის საჭირო სპეციალურ ცემენტებსაც.

„სუბტროპიკული“ ლინოლეუმი მკვიდრი, ლამაზი და იაფი გამოდის. და მალე — ეს უკვე ახალი ხუთწლედის გეგმაშია — საქართველოში აშენდება ქარხანა, რომელიც წელიწადში არაერთ მილიონ მეტრ ლინოლეუმს გამოუშვებს.

ა. ჭავთარაძე.

აკვარიუმის ილუმინატორში რომ ჩაიხედავ

არის იმის შესაძლებლობა, რომ პირისპირ შეხვდე და თვალებში ჩახედო ზღვის უზარმაზარ კუს. ან დაწვრილებით დაათვალიერო ცოცხალი სვია, ელექტროსკაროსები, აჭეთ-იქეთ რომ აწყდებიან, ატლანტის შესანიშნავი თართი. და ყოველივე ამისათვის საჭირო არ არის ჩაეშვა ოკეანის სიღრმეში: საკმარისია აკვარიუმის ილუმინატორში ჩაიხედო.

არის თევზის ასეთი უზარმაზარი „მუზეუმი“, რომელშიც ჩაასახლეს წყალქვეშა სამეფოს ეს და ბევრი სხვა ბინადარი. იგი ამ ცოტა ხნის წინათ გაიხსნა ბათუმში. ეს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დიდი სადემონსტრაციო აკვარიუმია.

ჯერჯერობით აქ ასამდე სახეობის ყოველნაირი თევზი და ზღვის ცხოველებია, რომლებისთვისაც სპეციალურ ნაკვეთურებსა და აუზებში შექმნილია „მშობლიური სტიქია“. მაგრამ მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო იმატებს. და მათ აგროვებენ არა მარტო ცნობისმოყვარე მომსვლელთა სამზერად, არამედ კვლევის მიზნითაც, რასაც თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს თევზის მეურნეობის სადგურის მეცნიერები ეწევიან.

ვ. მარღანიძე,
აჭარის რადიოკომიტეტის თავმჯდომარე.

საცოლაჟი ყურები

როგორ დავიცვათ ჩვენი სმენა საამქროებში, სადაც დაგადგება გაუდით ურიალებს, ღრჭიალებს რკინა? მაგრად დაიცო ყურები, ყველაფრისადმი ყრუ გახდე — ეს დაცვის საუკეთესო საშუალება როდია, ვინაიდან ასეთ მდგომარეობაში კაცი კარგავს სამუშაო რიტმის შეგრძნებას და, საერთოდ, უფრო ცუდად მუშაობს.

ამაზე ფიქრობდა თბილისის მანქანათსამშენებლო ტექნიკუმის ახალგაზრდა ლაბორანტი ზაურ ხეთაგური. მან თავისი იდეა გააცნო მეცნიერებს და მათი დახმარებით გააკეთა ხელსაწყო. ეს ხელსაწყო შედგება ბგერათა სიხშირის გენერატორის, ხმაურის სიგნალის გამაძლიერებელის, დეტექტორისა და გარდამქმნელისაგან. ხელსაწყოს გარდა, არის გადამწოდი და სასმენები. მათი საშუალებით გრუხუნი, დარტყმები, ღრჭიალი მოსასმენად სასიამოვნო ტონებად იქცევა. მკვეთრი ხმაურის ნაცვლად ჭაოსური, მაგრამ მაინც რამდენადმე მუსიკალური ბგერები ისმის.

ზაურის ხელსაწყო მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე იყო და ოქროს მედალი მიიღო. მაგრამ ზაური თავისი ხელსაწყოს გაუმჯობესებას განაგრძობს.

მ. იაშვილი.

ტრაქტორი უკაცოდ

ძალიან ძნელია მთის ფერდობის მოხვნა. მაგრამ ეს საჭიროა, იმიტომ რომ მთებშიც ცხოვრობენ ადამიანები, მოჰყავთ ხორბალი, ქერი, სიმინდი, კარტოფილი, და არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ ადამიანი ჩვენს დროებაში ხელით მუშაობდეს.

სამოთ ტრაქტორი? ეს, რა თქმა უნდა, მაღალი საფეხურია თოხთან შედარებით. მაგრამ ციცაბო ფერდობებზე საჭესთან ჯდომა საკმაოდ საშიშია. ამიტომ კიბერნეტიკის ინსტიტუტისა და მანქანების მექანიკის და პოლიმერული მასალების ინსტიტუტის ქართველმა მეცნიერებმა შექმნეს სპეციალური აპარატურა, რომელიც შესაძლებელს ხდის ტრაქტორის მართვას მანძილიდან. ელექტრონიკა და მექანიკურ-ჰიდრავლური სისტემა ეწევა კაცის მაგიერობას.

ტრაქტორმა წარმატებით გაიარა გამოცდის პირველი ეტაპი ლაბორატორიულ-საველე პირობებში.

ნ. გიორგაძე.

იგრიხება რუსთავული ძაფი

დაიწყო რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნიდან, რომელმაც კაპროლაქტამის წარმოება მოაწყო. ამან კი გამოიწვია ქიმიის ახალი საწარმოს — ქიმიური ბოჭკოს ქარხნის შექმნა. მან უკვე მოგვცა პირველი ქართული კორდი. რუსთავის კორდის ტილო ჩვენი ქვეყნის გზებზე „მოგზაურობს“. ამასობაში მწყობრში ჩადგა ქარხნის მეორე რიგი. ეწყობა კაპრონის გამოშვება. კაპრონის ძაფისაგან გააკეთებენ ბეწვეულს, ხალიჩებს, სხვადასხვა ქსოვილებს, კერძოდ აბრეშუმს, რომელიც ნატურალურ აბრეშუმზე ორჯერ უფრო მკვიდრია.

პიტიუსი ფიჭვს ნიშნავს

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის ჩვენი ქვეყნის მშრომელები მიიღებენ განსაკუთრებული სილამაზისა და ბუნებრივი მონაცემებით მდიდარ ახალ კურორტს ბიჭვინთის კონცხზე აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. ამ კურორტის შესახებ მოგვითხრობს პროფკავშირების კურორტთა სამმართველოს საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი პ. ა. ჩიკვილაძე.

სახელწოდება ბიჭვინთა წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან „პიტიუს“ — ფიჭვი, რომელიც ამ ადგილებში წარმოიშვა მრავალი მილიონი წლის წინათ. ბიჭვინთური რელიქტური ფიჭვის ამ უნიკალურ ტყეში, რომელიც ზედ ზღვის ნაპირამდე მიდის, შექმნილია ახალი კურორტი საბჭოთა ხალხისათვის.

გეგმით იგი მოქმედ კურორტთა რიგებში უნდა ჩადგეს 1968 წელს, მაგრამ მისმა მშენებლებმა გადაწყვიტეს ძირითადი კომპლექსი დაამთავრონ საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლის იუბილესათვის.

უკვე აღმართულია შვიდი 14-სართულიანი შენობა ბეტონის, მინისა და პლასტიკისაგან. ესენია სასტუმრო-პანსიონატები 3 ათასი კაცისათვის. ყველა კორპუსში წარმოეშს მოსაპირკეთებელი სამუშაოები, მალე დაიწყებენ ავეჯის მიღებას. მზად არის კურზალიც. ამ ორიგინალური არქიტექტურის შენობაში მოთავსებულია 900-ადგილიანი რესტორანი, ყავე, კინოდარბაზი, ბიბლიოთეკა, საქმო დარბაზი, ოთახები დასასვენებლად და სხვადასხვა თამაშისათვის.


სადილობა შეიძლება არა მარტო კურზალის რესტორანში, არამედ 1.300-ადგილიან სასადილოში, რომელშიც ნავარაუდევია ყოველდღიურად 20 ათასი ქერძის მომზადება.

ზამთრობით საცურავ აუზში ზღვის წყალს გაათბობენ. მოეწყობა სანაფხულო კინოთეატრი და ესტრადა 1.500 მაყურებლისათვის. საზღვაო ვაგზლის ნავმისადგომებთან იდგებიან კატერები, გლისერები და წყალქვეშაფრთიანი გემები.

კურორტში ელექტროსადენები გაყვანილია ტყვარჩელის ქვანახშირის აუზის მძლავრი სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურიდან.

• • •

ეს ფოტოსურათები ჩვენი გაზეთის სპეციალურმა ფოტოკორესპონდენტმა ს. კილაძემ ბიჭვინთაში გადაიღო.



სტუმრად რეჟისორთან

მიხეილ ჭიაურელის დაბადების 70 წლისთავის გამო

საქართველოს საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორის, სსრკ სახალხო არტისტის მიხეილ ჭიაურელის დაბადების 70 წლისთავი.

ჩვენი გაზეთის რედაქციამ დამავალა წერილის დაწერა მიხეილ ჭიაურელის შემოქმედებაზე. მე სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან თემა მრავალმხრივი მეჩვენა. გარდა ამისა ვიცოდი, რომ სახლში დიდ კინორეჟისორს მრავალი ფოტო და დოკუმენტური მასალა მოეპოვება, რაც ჩემს ამოცანას გაადვილებდა.

გზად ვფიქრობდი მიხეილ ჭიაურელის შემოქმედებაზე, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფიის განვითარება.



სურათზე: მ. ჭიაურელი თბილისის ოპერის თეატრში გამართულ საიუბილეო საღამოზე კინომსახიობებთან ერთად, მარცხნივ — მ. წულუკიძე, მარჯვნივ — დ. წეროძე.

კინომოყვარულთა მრავალმილიონიანმა აუდიტორიამ მიხეილ ჭიაურელი გაიცნო მისი პირველი ფილმებით „ორმოცდახუთი წუთი“, „პირველი კორნეტი სტრეშნევი“, „ბაბა“ და „ბაბარდა“, რომლებმაც რეჟისორს საბჭოთა კინოშემოქმედთა რიგებში ერთ-ერთი პირველი ადგილი დაუმკვიდრეს.

30-იან წლებში ხმოვანი კინოს გამოჩენასთან ერთად მიხეილ ჭიაურელი ეპიკურ ჟანრს მიმართავს. იგი დგამს ფილმებს — „უკანასკნელი მასკარადი“, „არსენა“, „დიადი განთიადი“, „გიორგი საკაძე“.

მიხეილ ჭიაურელის სახელი საბჭოთა კინოს მოყვარულთათვის ერთერთ ყველაზე საყვარელ სახელად იქცა. შემდგომმა ფილმებმა „ბერლინის დაცემამ“, „ფიცმა“, და „დაუვიწყარმა 1919 წელმა“ ქართველ კინორეჟისორს ნამდვილი ტრიუმფი მოუტანა.

სამშობლომ ღირსეულად დააფასა მისი მოღვაწეობა, იგი სახელმწიფო პრემიების ხუთგზის ლაურეატია.

მიზანი ნახევრადმიღწეული მეჩვენებოდა და ამიტომ მიხეილ ჭიაურელის სახლის კარი თამამად შევაღე.

მასპინძელი მხიარულად მომეგება და მისმა გულალალმა შეხვედრამ სასაუბროდ და მოსასმენად განმაწყო.

— რას იტყვით თანამედროვე საბჭოთა და, კერძოდ, ქართული კინემატოგრაფიის ახალ ტენდენციებზე? — შევეკითხე და ვიგრძენი, რომ რიტორიკული ფრაზა გამომივიდა.

მასპინძელი ოდნავ შეყოვნდა და მშვიდად მკითხა, ფერწერა თუ გიყვარსო, და ვიდრე ვუპასუხებდი, ხელტანიანი ალბომი გადამიშალა. ეს იყო ფერადი ესკიზები. ჩავთვალიერე და დამაინტერესა. ჩემს წინ წარმოსდგა მიხეილ ჭიაურელის მიერ შექმნილი კინოსურათები. კოლორიტულ ნახატებში შევიცანი ნაცნობი კინოგმირები: ჯმუხი და ალალი არსენა, სოფლელი კისკისა გოგო — არსენას გულის ჩიტი ნენო, გულბოროტი ავზნიანი გიორგი კუჭატნელი. შემდეგ სხვა კინოსურათების გმირები — გიორგი „დიადი განთიადიდან“, ცბიერი შადომანი, საკაძის ჭიშპი და მტერი. აქვე ალბომიდან მიცქერის ოთარაანთ ქვრივი. ყოველ სურათს თავისი იერი, მკვეთრი ხასიათი აქვს და გმირის სულს ზუსტად აღნიშნავს, რომლის მიღმაც ნაჭიერი მხატვარი დგას. მინდა მხატვრის გვარი ამოვიკითხო, მაგრამ ვერსად მინაწერს ვერა ვპოულობ და ბოლოს ვხვდები — ეს თვით მიხეილ ჭიაურელის ნახატებია. ამასობაში კი მას თაბაშირში ნაკეთები პორტრეტული ქანდაკება მოაქვს. თვალები ოდნავ მილულული, პოეტური ბაღე თითქოს მღერისო. ეს ვანო ხარაჯიშვილია. შემდეგ სკულპტურული პორტრეტების ფოტოებით მაცნობს ვასო აბაშიძეს, კოტე მარჯანიშვილს. ამ სკულპტურათა ორიგინალები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია.

აქ უცბად მახსენდება, რომ ჩემი წერილის მიზანი სულ სხვაა, თუმცა უველაფერი, რასაც ვხედავ, იმდენად საინტერესოა, რომ თვალს ვერ ვაშორებ, თანაც თავს ვიმშვიდებ: დრო ბევრია, საქმესაც მოვასწრებ-მეთქი, მაგრამ ვატყობ ჩემი გეგმები ნელნელა ინგრევა.

ძალას ვიკრებ და ჩემს შეკითხვას ვუმეორებ.

ძია მიშას კინოსურათები ხომ გინახავს, შვილო, მეუბნება მიხეილ ჭიაურელი, მხარზე მეგობრულად ხელს მირტყამს და თავისას განაგრძობს. მესაუბრება თბილად, გულწრფელად, და პატივცემულ მიხეილის მაგივრად მეც უკვე ძია მიშას ვეძახი.

— ერთი მშვენიერი რამ უნდა მოგასმენინო, ამბობს იგი და მაგნიტოფონს მართავს. ფირიდან ღვთაებრივი ბგერები ისმის.

ეთიოპელთა მკურნალი

ვინ იცნობდა დოქტორ მერაბს?

პეტრე მერაბიშვილის სახელი უკანასკნელ დრომდე უცნობი იყო ჩვენი საზოგადოებისათვის. აკადემიკოს გიორგი წერეთელს უნდა ვუმადლოდეთ ამ საინტერესო პიროვნების აღმოჩენას. ეს მან გვაუწყა, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში ეთიოპიაში, სახელდობრ ადის-აბებაში მოღვაწეობდა ფრანგი ექიმი — მერაბი, წარმოშობით ქართველი — პეტრე პავლეს-ძე მერაბიშვილი (დაბადებული ახალციხის მახლობლად, სოფელ უდეში). გ. წერეთლის ცნობით, მერაბიშვილი ეთიოპიის ნეგუსის მენელიქ მეორის პირად ექიმად მსახურობდა. დიდი სახელი და პატივისცემა დაუმსახურებია და ამასთან, ყოფილა ავტორი შრომებისა „ეთიოპური შთაბეჭდილებები“, „ეთიოპიის მედიცები და მედიცინა“.

გიორგი წერეთლის რჩევით სოფელ უდესაკენ გავემგზავრეთ. იქ მრავლად ცხოვრობენ მერაბიშვილები, თვით კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვახტანგ მერაბიშვილი პეტრე მერაბის ნათესავი აღმოჩნდა. მანვე გაგვაცნო ოთხმოცი წლის ბერიკაცი ანტონ იაკობის-ძე მერაბიშვილი — პეტრეს ძმისშვილი. ანტონმა დაწვრილებით მომითხრო მერაბიშვილების ამბავი, გამაცნო ამ გვარის გენეოლოგია, რომელიც მისი გადმოცემით, მერაბ ხურციძით იწყება. პეტრეს მიმოწერაც ჰქონია ბიძამისთან. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ერთ წერილს ვეღარ მივაკვლიეთ. ანტონმა მომაწოდა ბიოგრაფიული ცნობები პეტრე მერაბის შესახებ, ფოტოსურათები და პეტრეს დის წერილები. სწორედ ეს ცნობები დაედვა საფუძვლად პეტრე მერაბის ბიოგრაფიის მიახლოებით მაინც დადგენას.

პეტრე მერაბიშვილი 1876 წელს დაიბადა სოფელ უდეში. თორმეტი წლისა იყო, როცა კონსტანტინოპოლში გააგზავნეს სასწავლებლად უფროს ძმასთან — იოსებთან. იოსები სასულიერო პირი იყო და ქართული კონგრეგაციის სამონასტრო სკოლას დირექტორობდა. სწორედ ეს სკოლა დაამთავრა პეტრემ. შემდეგ პარიზს გაემგზავრა. პარიზში სამედიცინო ფაკულტეტზე შევიდა.

უმაღლესდამთავრებული პეტრე კონსტანტინეპოლში ბრუნდება, ეთიოპიის მისიაში მკურნალ ექიმად იწყებს მუშაობას და თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით ეთიოპიის ნეგუსის ყურადღებას იპყრობს. 1908 წლის აგვისტოში ახალგაზრდა ქართველი ექიმი ეთიოპიის ნეგუსმა თავისთან მიიწვია. ადის-აბებაში პეტრემ წარმატებით განაგრძო თავისი საექიმო პრაქტიკა და 1910 წლის პირველ დეკემბერს პოლიკლინიკა და აფთიაქი „საქართველო“ დაარსა.

თავდაპირველად შვიდი წელი დაყო პეტრემ ეთიოპიაში. პირველი მსოფლიო ომის წლებში პარიზის საშხეფრო ჰოსპიტალში მსახურობდა. როგორც პეტრეს დის — ტერეზას წერილებიდან ჩანს, პეტრე მერაბიშვილი დაახლოებით 1930 წელს გარდაცვლილა საფრანგეთის დედაქალაქში.

პეტრე მერაბი იყო არა მარტო ბრწყინვალე ექიმი — თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, არამედ შესანიშნავი მწერალიც გახლდათ.

„ეთიოპური შთაბეჭდილებები“ პოპულარული ენით დაწერილი სამტომიანი ნაშრომია, დიდი ინტერესით იკითხება. ამ წიგნის ყოველ სტრიქონში იგრძნობა თავისი ქვეყნის რა დიდი პატრიოტი ყოფილა პეტრე მერაბიშვილი, ჩანს, როგორ ამაყობს ქართველობით.

მეორე ნაშრომში — „ეთიოპიის მედიცები და მედიცინა“ განხილულია ეთიოპური ხალხური მკურნალობის ოთხი ძირითადი სახეობა.

მწერლისა და ექიმის ეს შრომები მეცნიერული თვალსაზრისითაც საყურადღებოა. მათი დეტალური შესწავლის საფუძველზე შესაძლებლობა გვექნება უფრო ღრმად ჩავწვდეთ და გავიგოთ ეთიოპელი ხალხის ისტორია, ზნე-ჩვეულება.

პეტრე მერაბიშვილი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი დღეს ინტერესს იჩენენ ადის-აბებაში, ცნობილი ისტორიკოსი დოქტორი რიჩარდ პანკრესტი სტატიაში „თანამედროვე მედიცინის საწყისები ეთიოპიაში“, რომელიც „ეთიოპია ობსერვერში“ გამოქვეყნდა, მაღალ შეფასებას აძლევს პეტრე მერაბიშვილს.

საყურადღებოა, რომ პეტრე მერაბიშვილს აღნიშნულ წიგნებში მოხსენებული აქვს თავისი რამდენიმე ნაშრომი. ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, გამოაქვეყნა მან ეს ნაშრომები თუ არა.

ი. ნათელიძე.

რედაქციისაგან: პატივცემულო მკითხველებო! პეტრე მერაბიშვილის პიროვნება და მისი მოღვაწეობა დიდ ინტერესს იწვევს. შესაძლებელია თქვენ მოგეპოვებათ რაიმე ცნობები? „სამშობლოს ხმის“ რედაქცია სიამოვნებით მიიღებს თქვენგან ყოველგვარ მასალას, კერძოდ პეტრე მერაბიშვილის ცხოვრებასა და საქმიანობაზე.

საინტერესო ნაპოვნი

სოხუმი. არც თუ ისე დიდი ხანია, რაც აქაურმა მებადურებმა კაპრონის ბადეებით ამოიღეს შავი ზღვის სიღრმიდან თიხის ამფორა, რომელშიც ძველკოლხური ოქროს ფული იყო. რამდენიმე დღის წინათ კი კიდევ ერთი უნიკალური განძი აღმოაჩინეს.

გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მცხოვრებმა ვ. ჯოლოლუამ თავის საკარმიდამო ნაკვეთში მუშაობის დროს მიწაში 30 სანტიმეტრ სიღრმეზე იპოვა პატარა თიხის დოქი, რომელიც სავსე იყო გამწვანებული ვერცხლის ფულით. განძის საერთო წონა კილოგრამზე მეტი გამოდგა.

აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის მუშაკმა გ. ბოკუჩავამ გამოიკვლია მონეტების წარწერები და გამოსახულებანი და დაადგინა, რომ ეს ფული ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე მიმოქცევაში ყოფილა ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-II საუკუნეებში.

დრო კი გადის. ჩემი გეგმებიდან ნატამალიც აღარ რჩება, თუმცა სულ სხვა წუაროდან ვიცი, რომ მიხეილ ჭიაურელი ამუამად მუშაობს ნახატ ფილმზე ფრანგი მწერლის როსტანის გალექსილი რომანის „შანტეკლერის“ მიხედვით. სამხატვრო სამუშაოები დამთავრებულია და მალე ფილმის გადაღებაც დაიწყება.

კვლავ მინდა საუბარი შემოვატრიალო, მაგრამ ამაოდ. ძია მიშას ღიღინი მესმის — „ეს მასპინძელი მასპინძლობს გულითა მხიარულითა“ და მეუბნება, რით გაგიმასპინძლდეო? ვიცი, რომ სამსახურში ხარ, დავალებას ასრულებ და ამიტომ ღვინოზე უარს შეტყვი, ამიტომ ეს უავა მიირთვი, ძია მიშას რეცეპტია, საკუთარი.

ჩემი გეგმები საბოლოოდ დაიმსხვრა. შთაბეჭდილებებით სავსე ვარ, მაგრამ არ მინდა „დავნებდე“ და გამოთხოვებისას მაინც ვეკითხები: რა გიყვართ ყველაზე მეტად ამ ქვეყანაზე?

მიხეილ ჭიაურელი აღარ იღიმება და მშვიდად მიპასუხებს: — ჩემი ნაჭეური ხალხი... ამ დროს დერეფნიდან პატარა ბიჭების, მისი შვილიშვილების კისკისი ისმის... — და ჩემი პატარა სანდრო და ნიკა, — ამთავრებს იგი.

მოვდივარ და ვფიქრობ. სულ სხვა მიზანი მქონდა და სხვა შთაბეჭდილებებით ვბრუნდები. ვიყავი სტუმრად ნიჭიერ მხატვართან, მოქანდაკესთან, მუსიკოსთან, მომღერალთან, მაგრამ მის მთავარ საქმეზე — კინოზე არ მისაუბრია და რა დავწერო. ორ ცეცხლს შუა ვარ. თუმცა მიხეილ ჭიაურელის კინობიოგრაფიას ყველაზე უკეთ მისივე სურათები გვაამბობენ.

მე კი დავალება ვერ შევასრულე და ამიტომ მხოლოდ ის აღვწერე, რაც მიხეილ ჭიაურელთან სტუმრად ერთ საათში განვიცადე.

ზ. რცხილაძე.

100 წლის ს. ჯუგაევი

ცხინვალი. ასი წლის შესრულება იზეიმა აშუღა ხასაკო ძუგაევმა. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც ოსური ხალხური სიმღერების ჩინებული შემსრულებელი. ბევრი ნაწარმოები, რომლებიც ოსური ხალხური სიმღერების კრებულში შევიდა, მან ჩააწერინა.

მოხუც ხასაკოს ყურთასმენა კარგი აქვს და უსათვალოდაც ხედავს. ახლაც, სუფრას რომ მიუჯდება, არ შეუძლია რომელიმე საყვარელი ხალხური სიმღერა არ წამოიწყოს. აშუღი მხოლოდ ერთხელ გახდა ავად — ასი წლის ასაკში და მაშინაც ვერაფრის დიდებით ვერ გადააყლაპეს ექიმები. ამ კაცის ასეთი ჯანმრთელობა არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგანაც მთელი სიცოცხლე ფიზიკურ შრომაში გაატარა მშობლიური მთის სოფელ ჯომაგაში.

ხასაკო ძუგაევმა საამაყო შვილები გამოზარდა. უფროსი ვაჟი გიორგი პოეტია. ჟურნალ „ფიდიუაგს“ რედაქტორობს, მეორე შვილი ხაჯუმარი მართალია აგრონომად მუშაობს, მაგრამ უკვე ლექსების კრებული გამოუშვა. ზაური ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატია და ჯავშანსატანკო ჯარების აკადემიაში კითხულობს ლექციებს. ყველაზე უმცროსი—ილია ორჯონიკიძის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტია. სკოლა დაამთავრა ხასაკო ძუგაევის ორივე ქალიშვილმაც.

ლევან გოთუა

უგზო ქარავანი

მოთხრობა

გარეჯის დიდებულ ქვაბთა სამყაროს მასპინძებზე მუშაობისას, წავაწყდი ერთ-ერთ გვიანდელ გარეჯელი მწერლის მიერ გიორგი საკაძის აუგად მოხსენიებას.

ვის არ აწვალებდა ჩვენში საკაძის ტრაგედია და მისი ანარეკლის გამომრეხა? შინაგან ტკივილებითა და ჩაგზარულობით აღსავსე კვანძმა მე ადრევე „უგზო ქარავანი“ დამაწერინა.

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ და ამ ფიქრში გაცრილად პირუთვნელობის სასწორზე ავწონოთ საქმენი ჩვენნი ნებსითნი თუ უნებლიენი.

ავტორი.

იგი დიდხანს უვლიდა ჰალაბის დილეგს. აქ იყვნენ ისინი. კვალმა აქ მოიყვანა. გზაში, ვისაც ჰკითხა, ყველა უდასტურებდა „გურჯების“ ჰალაბის ციხეში ჩაყრას. ნოსტეველმა გლეხმა გორგასალ ნასყიდაშვილმა საშინელი სიცხადით იგრძნო მათი განწირულება.

შორს, მეტად შორს, საქართველოდან უკუღმართად გადახვეწილი, თურქთა ქვეყნის შუაგულში ღალატით შეპყრობილი ერთი მუჭა ქართველთა ბედი, რაღა თქმა უნდა, უნუგეშო იყო.

ვინ იყო მათი გამკითხავი... მათი მფარველი?!

აზამ-ვეზირმა — ხოსროვ-ფაშამ თავიდანვე აითვალისწუნა გიორგი საკაძე. მას თავის მარცხი ერანელებთან ბრძოლაში ისე არ აწუხებდა, როგორც გურჯი მოურავ-ბეგის წარმატება ამავე ბრძოლაში.

ხოლო საკაძის ყაჭრამან-კონიის ბეგლარბეგად დანიშვნამ სულ გააღიზიანა. ხოსროვ-ფაშა შეუდგა ფარულ სამზადისს, მრავალი ფანდვან-ხუნდები დაუგო. ვილაიეთის დიდკაცობა აუმხედრა სამჯერ რჯულნაცვალ „ქიაფირს“ და ვერაგული თავდასხმა შეუმზადა.

აზამ-ვეზირის ქვეშუდანობა დროზე აცნობეს საკაძეს.

მაგრამ კონიაში ჩაჩიხულს გზა ყოველმხრივ მოჭრილი ჰქონდა, ისევ საქართველო ინატრა. სასწრაფოდ შეჰკრიბა მასთან მყოფი ასიოდ ქართველი და ხმელთაშუა ზღვისაკენ იბრუნა პირი. მერმე ჰალაბის გზაზე გაიჭრა. მდევრისათვის გზის დაბნევა იყო საჭირო. შემდგომ კი მალათიისაკენ შებრუნებას ვარაუდობდა. ამ ვილაიეთზე გადიოდა შორი, იქნებ მიუწვდომელი გზა საქართველოსაკენ.

კუშტად იყო ოტებული ბეგლარ-ბეგი, სიტყვაძვირობდა, არავის უმხელდა განზრახვას.

არც ვინ იცოდა, რა გრძნობა ჰფლობდა, ან რა გოროზი სურვილები ეხატებოდა.

მით უფრო, რა უნდა სცოდნოდა მის უხუცეს რაზმელს გორგასალ ნასყიდაშვილს — ნოსტელ „უწიგნო“ გლეხს, რომელიც მხოლოდ სამ ხატს ფიცულობდა ამ ქვეყანაზე: მისი სამშობლოს მფარველს — ღვთის მშობელს, გიორგი საკაძეს და თავის შვილს ბეჟანს.

ჰოდა, როცა მათ „ქრისტე ღმერთი“ გაუწყრა და დიდმოურავი კვლავ გადიხვეწა საქართველოდან, იგიც კვლავ თან გაჰყვა, ამჯერად თავის წამოზრდილი შვილიც გაიყოლა.

ახლა ყველანი ჰალაბის დილეგში არიან, ხოლო გორგასალი კი გარეთ... ლეკვებმწავრილი მგელივით უვლიდა ამ დილეგს მოხუცი.

ოდნავ დამრეცილი ქალაქი კვცებ-კეცებად ჩაჰკროდა ფერდობს. შერუჯული მიხაკის ფერს გადაერბინა ბორცვებზე. გვიანი შემოდგომა ყვითელ ფორეჯებად შესწყობოდა ბაღ-ბოსტნებს. თითქოს თორნიდან მობერილი ნიავი ზანტად მოიხვიტდა ხრეშსა და ღოგორებს. შემტვერილ ოფლად ასმებოდა შუბლზე გორგასალს.

უეცრივ ტანში აიძაგრა მოხუცი. ნიავმა რაღაც უჩვეულო ხმა შემოაწია.

უფრო ახლოს მივიდა დილეგთან. დიდ, მოჭედილ ალაყაფს ჩაჟანგებოდა კბილები. მის თავზე, გალავნის გასწვრივ, ვიწრო სათოფურები და სარკმელები თითქოს ბურღავდნენ დილეგის გარემოს. ვეება ბუსავით აჯდა გალავანს ჯოჯოხეთური. ნიავს იქიდან მოჰქონდა რაღაც გაურკვევი ხმა. შეიცნო გორგასალმა, იქნებ მისდა უფრო, მღეროდნენ. ისინი იყვნენ. ტყვეები. კილოც გაარკვია — „გაფრინდი, შავო მერცხალო“ მღეროდნენ პყრობილნი.

მამამ დამწყების ხმაც იცნო. ბეჟანი იყო. მისი შვილი, მრავალ შვილთაგან ერთადერთი, ამდენ ჭირ-ვარამსა და ომებში ძლივს შერჩენილი. ამას კი არ იშორებდა არსად. ზრდილობაშიც თავად გამოწურთნა და ცხენ-იარაღშიც. ხელმარდი და პირმართალი ვაჟკაცი დაუდგა გორგასალს. ცხოვრების გამოცდილება აკლდა მხოლოდ. იგი ხომ სულ ცხრამეტი წლისა იყო. ჯერ კარგად არც კი ჰქონდა შემკული საულვაშე. და ახლა კი... „გაფრინდი, შავო მერცხალო“?! აი მისი ხმა — იგი იქ, დილეგში... მისი უბედური მამა კი გარეთ. მერმე იქ მყოფთ დილეგს ვინ აკმარებს?!.. — გორგასალმა პირჯვარი გადაისახა. მაშინ შეამჩნია — მის ათას ომგადახდილ მარჯვენასაც დასჩემოდა ტოკვა. ბადეში გაბმულ მიმინოსავით ფეთქავდა მკლავი.

—ეჰეი დედასა! — ჩაიდუდუნა გულმოკლულმა და მჭმუნვარე მოგონებას მიეცა. რა მოიმოქმედოს? რა ძალა შესწევს? ათას-ჯერ ზომავდა უპასუხო კითხვებს. ან კი რა შეემთხვათ იმ ბედკრულ დილას? სულ ათიოდ დღეა, რაც ულოდნელად დაშორდა თავისიანებს. განა ასე არ იყო? შეძრწუნებული გორგასალი იღეღავდა გულისპირს, იმშუშნიდა სიცხისაგან დამშხალულ ღაწვებს. მას ყოველთვის კარგი მეხსიერება ჰქონდა. სიბერეშიაც საღად შეჰყვა გულისყური. მახვილი თვალის პატრონი იყო თავიდან. არც ამჯერად გამოჰპარვია რამე. კონიიდან რომ მოსსლიტეს ცხენები, შეუჩერებლივ ვიდოდნენ დასიცხულ ველ-ხრიოკ სავალზე. ქართულად — მარიამობისთვის დამლევი იყო, თურქულად — მუჰარრემის თვე. თაკარა სიცხე უმოწყალოდ თენთავდა ჯანსა და ნებას. ცხენ-აქლემები ვერ უძლებდნენ დღეღამ გასწორებულ სვლას. მოურავი მაინც აჩქარებდა ყველას. დავარდნილ ცხენ-აქლემებს სტოვებდნენ ან, თუ შესძლებდნენ, სცვლიდნენ გზადაგზა.

საკაძე დაუღალავი იყო, თავად დაუვლიდა ჩამორჩენილებს, შეუძახებდა, მათ ცხენებს კი მათრახით შეახსენებდა სისწრაფეს. ერთჯერ გორგასალის ცხენსაც მოსწვდა. წინ გაიგდო, მერმე გაუსწორდა და გაბრაზებული ხმით შეესიტყვა:

— წამომყე, მისმინე, მოხუცო. ჩემი და შენი ტოლი აღარავინ გვახლავს. ეჰ, გორგასალ, ერთი საქართველო მაჩვენა კიდევ და მერმე... თუნდაც... — ყელში გაეხასკვა სიტყვა.

— ვნახავთ! კიდევაც მოვესწრებით, ბატონო, შენი ჭირიმე! — მიუგო გორგასალმა, მაგრამ თვალი ვეღარ გაუსწორა სიტყვას. მათ ცხენთა ფლოქვებქვეშ უკუღმა მირბოდა უსიხარულო ველ-ხრიოკი, უცხო მიწა და ყოველი ნაბიჯი უფრო აშორებდა მათ იმ სანუკვარ მიდამოს, რომელსაც ვერ აფსებ, როცა ახლოს ხარ, და რომელსაც მით უფრო ესწრაფვი, რაც უფრო მიუწვდომელი ხდება იგი.

ამჯერად გორგასალმა თავად შეჰკადრა მოურავს:

— ახლა კი სწორ გზაზე მივალთ? — აღელვდა სიტყვა, როგორც ოდესღაც უთქმელი საყვედური. — მხარი ხომ არ გვეცვალა ამ ტიალ უდაბნოში, ბატონო?

ირიბად შეხედა გიორგიმ.

— მხარი გვეცვალა?! ვგონებ, ჩვენ დიდი ხანია გვეცვალა მხარი! მთელი სიცოცხლე სწორ მხარს დავეძებდი, სამი რჯული გამოვიცვალე და ბოლოს ყველგან ცოდვილი აღმოჩნდი. ათ გზას გავყევი და ბოლოს ყველგან მარცხი განვიცადე! — გიორგიმ ხელი ჩამოისვა ჭარბად ჭაღარა წვერზე, მერმე ხელისგულს დახედა. — აი, რა შემრჩა! — და გორგასალს გაუწოდა დამტვერილი და ჭუჭყმოდებული ვეება ხელი. ბრაზმორეულმა მათრახი გადაუჭირა ცხენს და დაწინაურდა.

შეძრწუნებულმა გორგასალმა თვალი გააყოლა მოურავს. თუ უმტყუნა დაღლილმა თვალმა? გიორგის ვეება ზურგი რაღაც მოდუნებული მოეჩვენა, ხოლო მის ჯაჭვის პერანგს მხრებში უცნაური ტოკვა შეამჩნია. მახვილი თვალი ჰქონდა გორგასალს. მაინც ეჭვი შეეპარა. თავი ჩაღუნა და მიჰყვა. ფხაშერეული გრძნობით უმზერდა ბუქის კორიანტელს, გიორგის ცხენის ლაფშურს რომ რჩებოდა ამ უნდო გზაზე.

უეცრივ რეჩხი უყო გულმა. გზაზე მათრახი ეგდო. უმალ იცნო ორშოლტიანი მათრახი. მას მუდამ აკვირვებდა ეს ორი შოლტი. ერთი სამტრო იყო, მაგრამ მეორე?

ახლა გზაზე ეგდო მათრახი. დაქვეითდა. აიღო. გახედა ცხენოსანს.

იქ წინ, ჩადაისებულ მზის ნასხივზე. ტაატით მიილტოდა უზარმაზარი მხედარი. აბოლქვებულ მტვერში მუქ ჭიაფრად ჯერ კიდევ ბზინავდა მისი აბჯარ-ჩაჩქანი... მაგრამ ჩრდილი დაჰკარგოდა მხედარს. ტანის გასწვრივ უძლურად ჩაშვებოდა ბეჟრის შემძლე ორი ვეება ხელი. ერთი მტრის შემუსვრელი იყო, მაგრამ მეორე?

სამიც წლის ნაღვაწი სიბრძნით გორგასალმა შეიმცნო, რომ ამ აბჯარში უდრეკი მებრძოლი კი აღარ იჯდა, არამედ გათელილი და გზადაბნეული ტყვე ამ აბჯრისა. ხოლო მას მკვდრის მზე უნათებდა, იქნებ უკანასკნელ, ბედის ანაბარა საფალს.

დაეწია. მათრახი მიაწოდა. არაფერი უთქვამს მხედარს.

ამომშრალი ხეობის თავთან ჭას წაწყდნენ. ოდნავი ნოტიო შერჩენოდა ფსკერზე. აქ მოუცადეს ჩამორჩენილთ. ძლივს მობორგავდნენ ილაჯგაწყვეტილი აქლემები და ცხენები.

ღამის თევა შესთხოვა გორგასალმა. აქაც არაფერი უთქვამს გიორგის, ოღონდ ცხენიდან ჩამოსვლისას როყიოდ გადაუგდო მიახლებულ გორგასალს:

— ეჰ, მოხუცო, ჩემს უნაგირს რაღად უნდა უზანგის დაჭერა? მე უნაგირზე ვიჯექ მეგონა, თურმე სიცოცხლე სხვას ვუჭერდი უზანგს. — მერმე ხელი ჩაიქნია და ჭის გვერდზე მიჯდა.


გორგასალმა კარავი დაადგმევინა ბეჟანს. უმალ წყალი მოართვა მოურავს, მცირე ხალიც გაუშალა, „იქნებ მამადური წესით ინებოსო ლოცვა“. თავად კი პირჯვარი გადაიწერა და განზე მიდგა.

ფეხი გაჰკრა ხალს გიორგიმ.

— ჩემი გაჭედილი ხატი ვერ ვიწამე და სხვისას რარიგად ვიწამებ, მოხუცო? — ბათა გაიწყვიტა, მუზარადი გადაიძრო და შუბლი გაიგრილა. ხმალი ამოებორკა ფეხებში. ავად გაჰკრა ხელი.

— ხან წაღმა რომ ვიქნევდი ამ ხმალს და ხან უკუღმა, ან სიბრძნე არ მეყო, ან ზნეობა?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).



[0920) ფ. 15/71

მეტრეველიდან — მეტრეველამდე

„ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა!“ — წერდა შოთა რუსთაველი 800 წლის წინათ, ბევრად ადრე მანამდე, სანამ გამოჩნდებოდა... ალექსანდრე მეტრეველი, ჩოგბურთის ვირტუოზი.

საქართველოს სპორტული ჟურნალისტების ტრადიციულმა ახალწლისწინა გამოკითხვამ გამოავლინა 1966 წლის ლაურეატი. გაზეთებმა ერთხმად გამოაცხადეს: № 1 სპორტსმენია მეტრეველი! მაგრამ საკითხავია, რომელი?

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ არავინ არ დაეჭვდებოდა, რომ იგულისხმება მთავარი „ეტალონის მეტრეველი“, თბილისის „დინამოს“ და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების განთქმული ფორვარდი. მაგრამ გავიდა წლები, და გამოჩნდა კიდევ ერთი მეტრეველი, სლავა კი არა, ალექსანდრე. და არა დიდი, არამედ პატარა ბურთით. ალექსანდრე მეტრეველმა მოიპოვა რამდენიმე გამარჯვება, რომელთაგან განსაკუთრებით აღვნიშნავთ ორს: დაამარცხა ჩვენი ქვეყნის პირველი ჩოგანი ტოომას ლეიუსი და უომბლდონის ტურნირის ტრიუმფატორი ესპანელი მანუელ სანტანა. ახლა თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების მე-3 კურსის სტუდენტი სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრე მეტრეველი თვითონ არის ჩვენი ქვეყნის პირველი ჩოგანი.

სლავა მეტრეველი კი კვლავ აღიარებულია საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად და ზემოთ დასახელებულ საპატიო ათეულში, რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენთა სიაში ირიცხება. ამრიგად გამოვიდა: მეტრეველიდან მეტრეველამდე.

ნონა და ნანა

განსხვავება ნონასა და ნანას შორის სულ მცირეა — ერთი ასო. მაგრამ განსხვავება ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიას შორის ჯერ კიდევ უდიდესი დისტანციაა. ერთია ჭადრაკის მსოფლიო დედოფალი, მეორე 17 წლისა გახდა სსრ კავშირის ჭადრაკის დედოფალი.

დედოფლები სასახლეებში იბადებიან. ასეც იყო. ნონამაც და ნანამაც თბილისის პიონერთა სასახლის საჭადრაკო სექციით დაიწყეს. თუ ამას დავუმატებთ, რომ აქვე დაიბადა მსოფლიოს ჭადრაკის მეფე ტიგრან პეტროსიანიც, რა ეჭვი უნდა შეგვეპაროს, რომ „მეფის კარი“ ურყევია.

80 წლის ასაკშიც კი

ლაპარაკია ადამიანზე, რომელიც არასოდეს არ ყოფილა არც რეკორდსმენი, არც ჩემპიონი, მაგრამ რომლის სახელსაც მთელი სპორტული საქართველო იცნობს. თქვენც გაგაცნობთ მას, მკითხველო.

მისი სახელია ისააკ კიზირია. იგი გახლავთ სენაკიდან (ამჟამად ცხაკაია). აქ ქმნიდა პირველ ფიზკულტურულ კოლექტივებს. ლელოს გუნდები არსებობდა 16 ჭოხსამკითხველოსთან. პირველი მასობრივი ფიზკულტურული დღესასწაული სწორედ აქ გაიმართა. მერე იგი გადავიდა დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში, შემდეგ აჭარაში. კიზირია ყოველთვის ამბობდა: „ჩვენ გვესაჭიროება არა მარტო რეკორდები, არამედ ფიზკული კულტურა ყველასათვის!“.

ახლა იგი 80 წლისაა. ცხოვრობს თბილისში, დიღმის ახალი საცხოვრებელი მასივის სახლში. იგი გულხელდაკრეფილი კი არა ზის და ფანჯრიდან როდი გასცქერის ახალგაზრდების თამაშს. ისააკ დომბრის-ძე კიზირია ჯანმრთელობის სახალხო კლუბის, ეგრეთწოდებული „დილის“ გამგეობის თავმჯდომარეა. ამიტომ დიღმის მასივის მცხოვრებლებს აქვთ ფეხბურთის 5, კალათბურთის 2 და ფრენბურთის 8 მოედანი, ხელბურთისა და ჭალაჭობანას სათამაშო მოედნები...

„საქართველოს ალპებში“

თბილისის ალპური კლუბი არსებობს... 1877 წლიდან. მაგრამ მასობრივი ალპინიზმის განვითარება საქართველოში დაიწყო სპეციალისტების პირველი წლიბიდან, როცა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ნიკოლაძე სტუდენტების პირველ ჯგუფს გაუძღვა ყაზბეგზე იერიშის მისატანად. ეს იყო 1928 წელს. უნდა ითქვას, რომ ეს წელი ითვლება საბჭოთა ალპინიზმის დაბადების წლად.

ნიკოლაძის ჯგუფში ხუთი ქალიშვილი იყო. ორმა მათგანმა — მარო ტყავაძემ და ასმათ ნიკოლაიშვილმა ეს ასწლა გაიმეორეს 40 წლის შემდეგ. შარშან კი მარო ტყავაძე, რუსთავის „გადამდგარი ინჟინერი“ მეტალურგთა ქალაქის კომკავშირელებთან ერთად ავიდა კავკასიონის უღელტეხილებზე და გაიარა საბრძოლო დიდების ადგილები.


კიდევ ერთი ოჯახი

ოცდაერთ წელიწადს ზედიზედ ნინო დუმბაძე იყო მსოფლიო რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში. მისი ქმარი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბორის დიაჩკოვი ეხმარებოდა მას ამ რეკორდების დამყარებაში. ამჟამად ორივენი წვრთნიან თავიანთ შვილს იური დიაჩკოვს — ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ათეულში.

ოთარ ნოზაძე.



ეს სურათი გადაღებულია დაახლოებით ერთი წლის წინათ. მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ჭადრაკის ორი დედოფლის — ნონა გაფრინდაშვილის (მარჯვნივ) და ნანა ალექსანდრიას აღმზრდელი მწვრთნელი ვახტანგ ქარსელაძე და თავისი ნიჭიერი ქალიშვილების წარმატებით ხარობდა.



ეს სურათი, რომელზეც აღბეჭდილია ალ. მეტრეველი, ჩვენი გაზეთის სპეციალურმა კორესპონდენტმა ვ. მჭედლიშვილმა გადაიღო ინდოეთში, სადაც ქართველმა ჩოგბურთელმა აზიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

მინიატურის ოსტატი

მატილდა მღებრიშვილი ყალმის ოსტატთა იმ შესანიშნავ თაობას ეკუთვნის, რომელმაც უანგაროდ მოახმარა მთელი სიცოცხლე ფერწერას.

1930 წელს, თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა მხატვარი თეირანში მიემგზავრება, სადაც სწავლობს ირანული მინიატურის საუკეთესო ნიმუშებს. მან პირველმა შექმნა ნატურალური სიდიდის ისპაანი აღა-კაპუს ცნობილი სასახლის — შაჰ-აბას პირველის რეზიდენციის ფრესკების 29 პირი. ახლა სასახლე დაინგრა და ფრესკების პირები, რომლებიც საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული, ერთადერთია მსოფლიოში.

მ. მღებრიშვილის ირანულმა ნამუშევრებმა ქება დაიმსახურეს 1933 წლის გამოფენაზე თბილისში, შემდეგ მოსკოვში, აგრეთვე 1938 წელს ნიუ-იორკში, სადაც უწვენებდნენ საბჭოთა გრაფიკას.

თავისი ნამუშევრების პირველი გამოფენის შემდეგ მხატვარი ჩინეთში მიემგზავრება, სადაც ქმნის შთამბეჭდავ კომპოზიციებს ჩინურ თემებზე, ადგილობრივი ტიპაჟების სერიას.

მ. მღებრიშვილი ერთ-ერთი პირველი ქართველი მხატვარია, რომელმაც მინიატურა დაუდო საფუძვლად თავის შემოქმედებას და ჟანრში დიდი წარმატებაც მოიპოვა. ოცდაათიან წლებში იგი ქმნის ბევრ საინტერესო მინიატურას ქართველთა ცხოვრებიდან. ამავე დროს მ. მღებრიშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მხატვარ-რესტავრატორად და სწელ ცოდნას ახმარს ფერწერის შედევრების აღდგენის კეთილშობილურ საქმეს. 17 წლის მანძილზე მან სიცოცხლე დაუბრუნა რვეპინის, ბრიულოვის, მურილიოს შესანიშნავ ქმნილებებს... მხატვრის ნიჭმა განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი ცნობილ ქართველ მხატვართა სურათების რესტავრაციის დროს. მან „უმკურნალა“ ნიკო ფიროსმანის 80 სურათს, გ. გაბაშვილის, მოსე თოიძის, ელენე ახვლედიანის, ა. მრევლიშვილისა და ბევრი სხვა მხატვრის ნაწარმოებებს.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მ. მღებრიშვილის ნაწარმოებთა გამოფენის გახსნაზე შეიკრიბნენ მისი ახლობლები და მეგობრები, ცნობილი ქართველი მხატვრები, ფერწერის მოყვარულნი. თავიანთი მეგობრის შესახებ გულთბილად ილაპარაკეს ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ამირანაშვილმა და ახალი ქართული და საბჭოთა ხელოვნების განყოფილების გამგემ ჭ. ბაგრატიშვილმა. გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის 150 ნამუშევარი—გრაფიკა და ფერწერა.

გ. ბაგრატიშვილი.

საბჭოთა ქართველი

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

საბჭოთა ქართველი

თბილისი, ჭ. ათონელის ქ. № 25.